

მომხმარებლის სახელმძღვანელო

Daisy perfect S

- **შეცდომით ამობეჭდილი, ან დაბრუნებული თანხის ქვითრის გაუქმება**

როდესაც სალარო აპარატზე ქვითარი არასწორად ამოიბეჭდა, ან მომხმარებელს თანხა დაუბრუნდა და ქვითრის გაუქმებაა საჭირო, rs.ge-ის პორტალზე ივსება სპეციალური განაცხადი, რომელსაც თან ერთვის გასაუქმებელი ქვითარი, ან ქვითრის ასლი. განაცხადზე ხელს აწერს მოლარე-ოპერატორი და მასზე პასუხისმგებელი პირი (მენეჯერი).

თუ სალარო აპარატში გნებავთ ნავაჭრი თანხის კორექტირება, შეიყვანეთ არასწორად დაფიქსირებული, ან დაბრუნებული თანხა და დააჭირეთ ჯერ „ALT“ და შემდეგ „-%“ ღილაკებს ერთდროულად. აღნიშნული ოპერაცია უნდა შესრულდეს Z ანგარიშის ამობეჭდვამდე.

- **დროის და თარიღის გასწორება**

დროის ან/და თარიღის გასწორების ოპერაციამდე საჭიროა Z ანგარიშის ამოღება. რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს „back“, სანამ არ გამოჩნდება მთავარი მენიუ. ისრების მეშვეობით აირჩიეთ „PROGRAMING“ დააჭირეთ ღილაკს „OK“ აკრიფეთ 9999 და დააჭირეთ „OK“ ღილაკს. ქვედა ისრის მეშვეობით აირჩიეთ „DATE/TIME“, დააჭირეთ ღილაკს „OK“. ციფრების შესაცვლელად გამოიყენეთ ისრები. შეიყვანეთ თარიღი მაგ. 01012021 (მსგავსი ფორმატით, წერტილების გარეშე) და დრო მაგ.0946 (მსგავსი ფორმატით, წერტილების გარეშე) და დაადასტურეთ ღილაკით „OK“.

- **სალარო აპარატის ჩართვა**

სალარო აპარატის ჩასართავად, კლავიატურის მარცხენა ზედა კუთხეში რამდენიმე წამის განმავლობაში დააჭირეთ ჩართვის ღილაკს.

- **სალარო აპარატის სამუშაო რეჟიმში შესვლა**

სამუშაო რეჟიმში შესასვლელად რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს „BACK“ სანამ არ გამოჩნდება წარწერა [MAIN MENU], აირჩიეთ რეჟიმი [SALE] და დააჭირეთ ღილაკს „OK“. შემდეგ აკრიფეთ მოლარის შესაბამისი პაროლი [1] და დააჭირეთ ღილაკს „OK“ ეკრანზე დაეწერება [0,00].

ქვითრის ამოსაბეჭდად აკრიფეთ სასურველი თანხის ოდენობა და დააჭირეთ სექციის ღილაკს (მაგ. [01]). მომხმარებლის ქვითრის ბეჭდვის დასასრულებლად დამატებით დააჭირეთ ღილაკს „TOTAL“

მაგალითი:

7 ლარი და 25 თეთრის ქვითრის ამოსაბეჭდად აკრიფეთ:

[7][.][2][5] ----- თანხა

[01] ----- სექციის ღილაკი

[TOTAL] ----- ამობეჭდვა

თუ ქვითარში რამდენიმე თანხის ჩაწერა გასურთ, შეიყვანეთ თანხა, მიუთითეთ შესაბამისი სექცია [01], შემდეგ აკრიფეთ სხვა პროდუქტის თანხა, კვლავ სექციის ღილაკი [01] და ა.შ. საბოლოო ქვითრის ამოსაბეჭდად დააჭირეთ ღილაკს „TOTAL“.

- **არასწორად შეყვანილი თანხის კორექტირება ან/და ქვითრის ანულირება**

არასწორად შეყვანილი თანხის წასაშლელად დააჭირეთ ღილაკს „C“

თუ თანხა არასწორად შეიყვანეთ და სექციაც მიუთითეთ, მაგრამ ქვითარი ჯერ არ დაგიბეჭდავთ, დააჭირეთ ღილაკს „VD“ და თანხა ანულირდება. გაუქმებულ თანხაზე ქვითრის ამოსაბეჭდად აკრიფეთ ღილაკი „TOTAL“.

- **Z ანგარიშის ამობეჭდვა**

*ყოველი სამუშაო დღის ბოლოს სავალდებულოა ცვლის დახურვა (Z ანგარიშის ამოღება).

Z ანგარიშის ამოსაბეჭდად რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს „BACK“, სანამ ეკრანზე არ დაეწერება [MAIN MENU], ისრების მეშვეობით აირჩიეთ [Z REPORT], დააჭირეთ ღილაკს „OK“, შემდეგ აკრიფეთ 9999, და დააჭირეთ ღილაკს „OK“ ორჯერ.

- **გათიშული სალარო აპარატის გააქტიურება**

ეკრანის მარცხენა მხარეს წარწერა "GPRS"-ის გამოჩენის შემდეგ რამდენჯერმე დააჭირეთ ღილაკს „BACK“, სანამ არ გადახვალთ მთავარ მენიუში [MAIN MENU] და გამოჩნდება ჩამონათვალი. ისრების მეშვეობით მოძებნეთ „პროგრამირება“ და დააჭირეთ „OK“ ღილაკს. აკრიფეთ 9999 და დააჭირეთ „OK“ ღილაკს. ისრების მეშვეობით აირჩიეთ „TESTS“ და დააჭირეთ „OK“ ღილაკს. ისრებით მოძებნეთ „MANUAL TRANSFER“ და დააჭირეთ ღილაკს „OK“. ეკრანზე დაეწერება „SENDING“. დაელოდეთ, თუ აქტივაცია წარმატებით დასრულდა, ეკრანზე დაეწერება "SUCCESSFUL". ამის შემდეგ შეგიძლიათ განაგრძოთ მუშაობა.

* თუ დაწერა "COMMUN.ERR.GRA" ან/და "SEND.GRA.SERVER" დააჭირეთ "C" ღილაკს და განმეორებით სცადეთ გადატვირთვა.

- **მენიშვნა**

იმ შემთხვევაში თუ სალარო აპარატის ეკრანზე დაეწერა:

„NO PAPER“ - ნიშნავს, რომ სალარო აპარატში თერმული ქაღალდი დამთავრდა, ან ქაღალდის ხუფი აფარია არასწორად

„Overflow 24 h /error 82 “ - ამობეჭდეთ Z ანგარიში

“INCORRECT KEY” - დააჭირეთ „C“ ღილაკს ორჯერ და შემდეგ „TOTAL“-ს

- **დეტალური ამონაწერი**

ამ ოპერაციის განსახორციელებლად დააჭირეთ „BACK“ ღილაკს, იმისათვის, რომ გადავიდეთ მთავარ მენიუში (ეკრანზე დაიწერება პროგრამების ჩამონათვალი, SALE, X REPORT...), დააჭირეთ ისარს და მონიშნეთ X REPORT, დააჭირეთ ღილაკს OK, აკრიფეთ პაროლი 9999 და დააჭირეთ ღილაკს OK. ღილაკ ისრით მონიშნეთ EJT, დააჭირეთ OK – ს, აკრიფეთ ციფრი 3 და დააჭირეთ STL-ს, ეკრანზე გამოჩნდება წარწერა საწყისი, ჩაწერეთ სასურველი თარიღი [მაგ: 010114] და

დააჭირეთ ღილაკს QTY. ეკრანზე გამოჩნდება წარწერა საბოლოო, ჩაწერეთ ისევ სასურველი თარიღი [მაგ: 010114] და დააჭირეთ ღილაკს VD.

- **დღგ-ს მოხსნა**

ამ ოპერაციის განხორციელებამდე უნდა იქნას ამორტყმული Z REPORT-ი ამ ოპერაციის განსახორციელებლად დააჭირეთ BACK ღილაკს, იმისათვის, რომ გადავიდეთ მთავარ მენიუში (ეკრანზე დაიწერება პროგრამების ჩამონათვალი, SALE, X REPORT...), დააჭირეთ ისარს და მონიშნეთ PROGRAMMING, დააჭირეთ ღილაკს OK, აკრიფეთ კოდი 9999 და დააჭირეთ ღილაკს OK. ღილაკი ისრით გადადით მონიშნეთ TAX GROUP დააჭირეთ OK -ს. დააჭირეთ ქვედა ისარს შემდეგ PY ღილაკს გამოჩნდება წარწერა VAT % 18.00. აკრიფეთ 0,00 შემდეგ OK ,საბოლოოდ დააჭირეთ ღილაკს BACK.

- **თანხის შეზღუდვა**

ამ ოპერაციის განსახორციელებლად დააჭირეთ BACK ღილაკს, იმისათვის, რომ გადავიდეთ მთავარ მენიუში (ეკრანზე დაიწერება პროგრამების ჩამონათვალი, SALE, X REPORT...), დააჭირეთ ისარს და მონიშნეთ PROGRAMMING, დააჭირეთ ღილაკს OK, აკრიფეთ კოდი 9999 და დააჭირეთ ღილაკს OK. გადადით ისრებით DEPARTMENTS-ზე დააჭირეთ ღილაკს OK შემდეგ ისრით გადადით Max Digits: -ზე და მიუთითეთ სასურველი ციფრი (*) და დაადასტურეთ OK-ით, ციფრი – 3-ის მითითების შემთხვევაში შეიზღუდება 10 ლარამდე ციფრი – 4-ის მითითების შემთხვევაში შეიზღუდება 100 ლარამდე ციფრი – 5-ის მითითების შემთხვევაში შეიზღუდება 1000 ლარამდე ციფრი – 6-ის მითითების შემთხვევაში შეიზღუდება 10000 ლარამდე.

- **ქვითრის დუბლიკატი**

ქვითრის დუბლიკატის ამოსაბეჭდად სალარო რეჟიმში (როდესაც ეკრანზე წერია 0.00) აკრიფეთ 99 და დააჭირეთ ღილაკს TOTAL, ეკრანზე დაეწერება ბოლოს გამოწერილი ქვითრის ნომერი, აკრიფეთ სასურველი ქვითრის ნომერი (მაგ. 012545), რომლის დუბლიკატის ამობეჭდვაც გნებავთ და დააჭირეთ OK ღილაკს.

ქვითრის ნომრის გასაგებად იხელმძღვანელეთ დეტალური ქვითრის ამობეჭდვის ინსტრუქციით.

- **ზეტის დუბლიკატი (თარიღების) მიხედვით**

ამ ოპერაციის განსახორციელებლად დააჭირეთ BACK ღილაკს, იმისათვის, რომ გადავიდეთ მთავარ მენიუში (ეკრანზე დაიწერება პროგრამების ჩამონათვალი, SALE, X REPORT ,Z REPORT ...), დააჭირეთ ისარს და მონიშნეთ Z REPORT, დააჭირეთ ღილაკს OK, აკრიფეთ პაროლი 9999 და დააჭირეთ ღილაკს OK. ღილაკ ისრით მონიშნეთ EJT, დააჭირეთ OK – ს, აკრიფეთ ციფრი 13 და დააჭირეთ. STL-ს, ეკრანზე გამოჩნდება წარწერა საწყისი, ჩაწერეთ სასურველი თარიღი [მაგ: 15 01 16] და დააჭირეთ ღილაკს QTY. ეკრანზე გამოჩნდება წარწერა საბოლოო, ჩაწერეთ ისევ სასურველი თარიღი [მაგ: 15 01 16] და დააჭირეთ ღილაკს VD.